

შპს მედიონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	11
6. საიჯარო შემოსავალი	11
7. სხვა შემოსავალი	11
8. შრომის ანაზღაურების ხარჯი	11
9. სამედიცინო მომსახურების ხარჯი.....	11
10. იჯარის ხარჯი	12
11. მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	12
12. სხვა საოპერაციო ხარჯი	12
13. ძირითადი საშუალებები	13
14. საინვესტიციო ქონება.....	14
15. სხვა ინვესტიცია	14
16. სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
17. გაცემული სესხები	15
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
19. საგადასახადო აქტივი	16
20. ფული და ფულის ექვივალენტები	16
21. კაპიტალი.....	16
22. მიღებული სესხები	17
23. ფინანსური იჯარის ვალდებულებები	17
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
25. პირობითი ვალდებულებები	18
26. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	19
27. ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.....	19
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს მედიკონ ჰოლდინგი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	5	5,873,226	5,605,934
საიჯარო შემოსავალი	6	75,393	66,995
სხვა შემოსავალი	7	406,245	323,892
სულ შემოსავალი		6,354,864	5,996,821
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(3,072,109)	(3,257,274)
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	9	(1,200,689)	(1,342,089)
იჯარის ხარჯი	10	(647,924)	(652,320)
ცვეთა და ამორტიზაცია		(221,842)	(245,815)
მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	11	(255,673)	(193,405)
აქტივების გაუფასურების ხარჯი		(16,691)	(54,014)
სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(572,109)	(675,373)
საოპერაციო მოგება/ზარალი		367,827	(423,469)
ფინანსური შემოსავალი		14,857	12,768
ფინანსური ხარჯი		(42,105)	(48,186)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		(55,200)	(31,088)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		285,379	(489,975)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		285,379	(489,975)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 21 სექტემბერს:

ცოტნე შეროზია
დირექტორი

მარიამ ვერძაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს მედიონ ჰოლდინგი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	5	5,873,226	5,605,934
საიჯარო შემოსავალი	6	75,393	66,995
სხვა შემოსავალი	7	406,245	323,892
სულ შემოსავალი		6,354,864	5,996,821
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(3,072,109)	(3,257,274)
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	9	(1,200,689)	(1,342,089)
იჯარის ხარჯი	10	(647,924)	(652,320)
ცვეთა და ამორტიზაცია		(221,842)	(245,815)
მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	11	(255,673)	(193,405)
აქტივების გაუფასურების ხარჯი		(16,691)	(54,014)
სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(572,109)	(675,373)
საოპერაციო მოგება/ზარალი		367,827	(423,469)
ფინანსური შემოსავალი		14,857	12,768
ფინანსური ხარჯი		(42,105)	(48,186)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		(55,200)	(31,088)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		285,379	(489,975)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		285,379	(489,975)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 21 სექტემბერს:


 ცოტნე შერაშვილი
 დირექტორი


 მარიამ ვერძაძე
 ფინანსური მენეჯერი

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	1,264,195	1,453,860
საინვესტიციო ქონება	14	22,328	23,236
არამატერიალური აქტივები		5,828	11,084
სხვა ინვესტიცია	15	-	10,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,292,351	1,498,180
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16	27,672	49,541
გაცემული სესხები	17	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	1,061,021	619,279
საგადასახადო აქტივი	19	11,969	11,186
ფული და ფულის ექვივალენტები	20	314,999	235,983
სულ მიმდინარე აქტივები		1,415,661	915,989
სულ აქტივები		2,708,012	2,414,169
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	21	772,375	772,375
გაუნაწილებელი მოგება		381,961	96,582
სულ კაპიტალი		1,154,336	868,957
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	23	61,824	83,938
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		61,824	83,938
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	22	138,061	230,696
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	23	46,068	65,958
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	1,307,723	1,164,620
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,491,852	1,461,274
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,708,012	2,414,169

შპს მედიკონ ჰოლდინგი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		772,375	586,557	1,358,932
მიმდინარე წლის ზარალი		-	(489,975)	(489,975)
31 დეკემბერი 2019		772,375	96,582	868,957
მიმდინარე წლის მოგება		-	285,379	285,379
31 დეკემბერი 2020		772,375	381,961	1,154,336

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია

შპს მედიკონ ჰოლდინგი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2011 წლის 26 დეკემბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404923632.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. კერძოდ: სრული ლაბორატორიული, ამბულატორიული და სტომატოლოგიური სერვისები: გამაჯანსაღებელი თერაპია, დერმატოლოგია და ვენეროლოგია, ინექცია, ენდოკრინოლოგია, ნერვოლოგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, ორთოპედია და ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, რევმატოლოგია, ოფთალმოლოგია, ულტრაბერითი სონოგრაფია, რადიოლოგია, უროლოგია, ორსულთა კონსულტირება, ქირურგია, ლაბორატორია და ბაქტეროლოგია, სკრინინგი, თერაპია, ალერგოლოგია, პედიატრია და ა.შ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქონდა 3 ფილიალი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 387-ს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შრომის ქ. #6. კომპანია სამედიცინო სერვისების მიწოდებას ახორციელებს სამ ფილიალში, თბილისის შემდეგ მისამართებზე: კალოუბნის ქ. #12, ვაჟა-ფშაველას გამზ. #83/11 და ალექო გობრონიძის ქ. #27.

კომპანიის აქციონერები: და კომპანიის სტრუქტურა: კომპანიის მეწილეების სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2020 (%)	31 დეკემბერი 2019 (%)
ირა არველაძე	რუსეთი	45%	45%
ვლადიმერ ბაკურაძე	საქართველო	30%	30%
მარინა გოგუშვილი	საქართველო	25%	25%

2019 წლის 11 იანვარს კომპანიამ შეიძინა შპს თბილისის თვალის კლინიკის 51%-იანი წილი, საიდენტიფიკაციო ნომრით: 402020610, რომლის ძირითადი საქმიანობაა ამბულატორიული მომსახურების მიწოდება ოფთალმოლოგიის მიმართულებით. 2020 წელს კომპანია გამოვიდა აღნიშნული ურთიერთობიდან. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მსს ფასს-ით დაშვებული გამოწვევის და არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, იმ შემთხვევაში, თუ ის შემენილია 1 წლის განმავლობაში გაყიდვის ან გასვლის მიზნით და მსგავს ინვესტიციას აღრიცხავს როგორც სხვა ინვესტიციას. უფრო დეტალურად ინფორმაცია იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაშია მოცემული, COVID 19-მა არაპირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანხმეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
სამედიცინო აღჭურვილობა	3-14
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	3-5

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანია საინვესტიციო ქონებების აღსარიცხად იყენებს თვითღირებულების მოდელს.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20 წლით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს ლიცენზიებს, სამედიცინო და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ვებ-გვერდი	5
პროგრამები	5
ლიცენზია	5

სასაქონლო მატერიალური მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს ფიფო მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სხვა ინვესტიციები. არაკონვერტირებად პრივილეგიურულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგიურულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია) კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საოპერაციო იჯარისას საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი ემატება აქტივის ღირებულებას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით. ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების გაწევასთან, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გათავისუფლებულია დღგ-სგან.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული ამბულატორიული მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარის ფარგლებში მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ: ა) ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

სხვა ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და ბონუსები. ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ანერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანია აფასებს თავად ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო მისი იურიდიული ფორმას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი

მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

ყველა სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
ამონაგები ფიზიკური პირებისგან	1,251,037	3,253,503
ამონაგები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან	3,988,508	2,065,496
ამონაგები კორპორატიული გაყიდვებიდან	319,044	139,700
ამონაგები ვაქცინაციის პროგრამიდან	258,493	-
ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან	56,144	138,704
სხვა	-	8,531
სულ	5,873,226	5,605,934

6. საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავლები 75,393 ლარის ოდენობით მოიცავს, წრფივი მეთოდით დარიცხულ შემოსავალს გაქირავებული ფართებიდან (2019: 66,995 ლარი).

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი პრეზენტაციებიდან	207,150	280,350
სახელმწიფო დახმარება	164,519	-
უკან დაბრუნებული ქონების გადასახადი	-	28,260
შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადი	12,160	-
კოვიდ 19 შედეგად მიღებული საიჯარო შეღავათი	5,329	-
სხვა შემოსავალი	17,087	15,282
სულ	406,245	323,892

2020 წელს ახალი კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური ეფექტის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის შეღავათის შესახებ, რომელიც ვრცელდებოდა აპრილი- სექტემბრისა და დეკემბრის თვეში. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგენდა 164,519 ლარს.

8. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯი	(2,123,422)	(2,196,115)
ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯი	(948,687)	(1,061,159)
სულ	(3,072,109)	(3,257,274)

9. სამედიცინო მომსახურების ხარჯი

სამედიცინო მომსახურების ხარჯი 1,200,689 ლარის ოდენობით მოიცავს ამბოლატორიული სერვისის გაწევასთან დაკავშირებულ ლაბორატორიულ და სხვა ტიპის კვლევების ხარჯს (2018: 1,342,089 ლარი).

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. იჯარის ხარჯი

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შპს „ბილდექსისგან“ ერთ-ერთი ფილიალისთვის ფართი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იჯარის ხარჯი შეადგენდა 647,924 ლარს (2019: 652,320 ლარი).

11. მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი

მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
მედიკამენტები	(96,288)	(98,687)
სახარჯი და სხვა სამედიცინო მასალები	(159,385)	(94,718)
სულ	(255,673)	(193,405)

12. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
კომუნალური ხარჯები	(179,856)	(142,119)
საკანცელარიო ხარჯები	(87,686)	(28,431)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(51,501)	(44,017)
სატრანსპორტო ხარჯი	(33,603)	-
საგადასახდო ხარჯები (გარდა მოგების გადასახადისა)	(33,155)	(5,586)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(29,364)	(39,891)
რეკლამის ხარჯები	(29,126)	(36,483)
საკომუნიკაციო ხარჯები	(23,008)	(65,465)
საბანკო ხარჯები	(20,284)	(18,471)
დასუფთავების ხარჯები	(19,890)	(13,281)
რემონტის ხარჯები	(19,779)	(16,666)
შემოწმებით გათვალისწინებული სანქცია	-	(106,041)
საოფისე ხარჯები და მცირეფასიანი ინვენტარი	-	(92,035)
საწვავის ხარჯი	(3,688)	(6,358)
IT ხარჯები	(585)	(16,934)
სხვა	(40,584)	(43,595)
სულ	(572,109)	(675,373)

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სამედიცინო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	454,544	734,658	505,844	464,718	10,538	41,771	2,212,073
შემოსვლა	-	-	23,640	16,373	5,587	-	45,600
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(2,190)	(1,569)	-	(9,943)	(13,702)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	454,544	734,658	527,294	479,522	16,125	31,828	2,243,971
შემოსვლა	-	5,898	8,553	20,096	-	-	34,547
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(28,752)	(965)	-	-	(29,717)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	454,544	740,556	507,095	498,653	16,125	31,828	2,248,801
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(221,205)	(166,788)	(147,826)	(76)	(23,440)	(559,335)
ცვეთის ხარჯი	-	(28,627)	(106,402)	(97,901)	(543)	(6,863)	(240,336)
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად	-	908	-	-	-	-	908
გასვლა	-	-	608	784	-	7,260	8,652
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(248,924)	(272,582)	(244,943)	(619)	(23,043)	(790,111)
შემოსვლა	-	(31,041)	(97,250)	(77,577)	(549)	(10,128)	(216,545)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	21,357	693	-	-	22,050
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(279,965)	(348,475)	(321,827)	(1,168)	(33,171)	(984,606)
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	454,544	485,734	254,712	234,579	15,506	8,785	1,453,860
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	454,544	460,591	158,620	176,826	14,957	(1,343)	1,264,195

შპს მედიონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2018	11,250	17,486	28,736
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	11,250	17,486	28,736
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	11,250	17,486	28,736
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	-	(4,592)	(4,592)
ცვეთის ხარჯი	-	(908)	(908)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(5,500)	(5,500)
ცვეთის ხარჯი	-	(908)	(908)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(6,408)	(6,408)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	11,250	11,986	23,236
31 დეკემბერი 2020	11,250	11,078	22,328

გამომდინარე იქიდან, რომ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საინვესტიციო ქონება წარდგენილია თვითღირებულებით ძირითადი საშუალებების აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად.

15. სხვა ინვესტიცია

2019 წლის 11 იანვარს კომპანიამ შეიძინა შპს თბილისის თვალის კლინიკის (საიდენტიფიკაციო ნომრით: 402020610) 51%-იანი წილი 10,000 ლარად, რომლის ძირითადი საქმიანობაა ამბულატორიული მომსახურების მიწოდება ოფთალმოლოგიის მიმართულებით. კომპანიის მენეჯმენტს არ ქონია გრძელვადიანი საინვესტიციო მიზნები შესყიდვის დროს და შესაბამისად 2020 წელს გაყიდა აღნიშნული კომპანიის წილი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მსს ფასს-ით დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, იმ შემთხვევაში, თუ ის შემენილია 1 წლის განმავლობაში გაყიდვის ან გასვლის მიზნით და მსგავს ინვესტიციას აღრიცხავს, როგორც სხვა ინვესტიციას.

შვილობილი კომპანიის საბალანსო მონაცემები შემენის თარიღისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივები	
ძირითადი საშუალებები	96,303
სულ გრძელვადიანი აქტივები	96,303
მარაგები	197
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	45,537
ფული და ფულის ექვივალენტები	469
სულ მიმდინარე აქტივები	46,203

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სხვა ინვესტიცია (გაგრძელება)

სულ აქტივები	142,506
კაპიტალი	
გაუნაწილებელი ზარალი	(342,253)
სულ კაპიტალი	(342,253)
ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულებები	24,123
მოკლევადიანი სესხები	124,650
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	335,986
სულ მიმდინარე ვალდებულებები	484,759
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	142,506

16. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სახარჯი მასალები	14,904	39,561
მედიკამენტები	10,454	7,840
სხვა მარაგები	2,314	2,140
სულ	27,672	49,541

17. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებულ კომპანიებზე გაცემული სესხები	46,888	66,888
სხვა კომპანიებზე გაცემული სესხი	20,000	-
დარიცხული პროცენტი	18,829	10,780
ჯამი	85,717	77,668
გაუფასურების რეზერვი	(85,717)	(77,668)
გაცემული სესხები, ნეტო	-	-

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები წარმოადგენს გაცემულ სესხებსა და საკრედიტო ხაზებს 12%- 15%-მდე საპროცენტო სარგებლით. ყველა სესხი წარმოდგენილია ლარში.

გაცემული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	77,668	47,043
წლის განმავლობაში გაცემა	-	24,820
დარიცხული პროცენტი	8,049	7,695
წლის განმავლობაში გადახდა	-	(1,890)
ნაშთი წლის ბოლოს	85,717	77,668
გაცემული სესხების რეზერვი	(85,717)	(77,668)
ნაშთი წლის ბოლოს, ნეტო	-	-

შპს მედიონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. საფაქრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან	646,223	412,490
მოთხოვნები ვაქცინაციის პროგრამიდან	234,785	
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებიდან	92,952	101,463
მოთხოვნები კორპორატიული გაყიდვებიდან	59,650	86,906
საიჯარო მოთხოვნები	26,134	22,016
სხვა მოთხოვნები	7,299	6,220
სულ საფაქრო მოთხოვნები	1,067,043	629,095
გაცემული ავანსები	24,291	11,853
სულ საფაქრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	1,091,334	640,948
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(30,313)	(21,669)
საფაქრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	1,061,021	619,279

19. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

20. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	12,114	202,839
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	213,194	9,549
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	89,691	23,595
სულ	314,999	235,983

21. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ შენატანებს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 772,375 ლარს.

შპს მედიკონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. კაპიტალი (გაგრძელება)

დივიდენდები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

22. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	134,434	210,000
დარიცხული პროცენტი	3,627	20,696
სულ მიღებული სესხები	138,061	230,696

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების და პროცენტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	12%	ლარი	2020-2022	138,061	230,696
სულ				138,061	230,696

მიღებული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	230,696	20,296
სესხის მიღება	-	390,000
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	21,405	20,400
პროცენტის გადახდა	(38,474)	-
სესხის ძირის დაფარვა	(75,566)	(200,000)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	138,061	230,696

23. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	64,593	84,077
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	62,995	91,249
სულ მინიმალური გადასახდელები	127,587	175,326
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები	(19,696)	(25,430)
მინიმალური გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	107,892	149,896

23. ფინანსური იჯარის ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიამ სს თიბისი ლიზინგთან 2018 წელს გააფორმა ლიზინგის გენერალური ხელშეკრულება 10 წლის ვადით. მიმდინარე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2022 წელი. ლიზინგის საგანს წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ტექნიკა და ინვენტარი. ხელშეკრულების ვადის ბოლოს ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებულებების სრულად შესრულებისა და ლიზინგის მთლიანი ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში ლიზინგის საგანი გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში დამატებითი საზღაურის გადახდის გარეშე.

ლიზინგის ქვეკონტრაქტების მიხედვით ლიზინგის საზღაურის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად და არ ექვემდებარება გაზრდას. ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალუტაა ლარი.

2020 წლის ბოლოს ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები უზრუნველყოფილია ამავე ლიზინგის ფარგლებში მიღებული აქტივებით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 290,477 ლარს (2019: 188,367).

ფინანსური იჯარის ვალდებულების რეკონსილაცია წლების მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	149,896	206,793
ვალდებულების აღება	-	-
პროცენტის დარიცხვა	19,485	27,786
ვალდებულების დაფარვა	(43,086)	(59,065)
პროცენტის დაფარვა	(13,074)	(25,618)
შეღავათი	(5,329)	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	107,892	149,896

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიჯარო ვალდებულება	360,986	739,710
მიღებულ სამედიცინო მომსახურებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	34,005	221,763
სავაჭრო ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	628,828	147,078
გადასახდელი ხელფასი	207,043	36,357
მიღებული ავანსები	76,861	19,712
სულ	1,307,723	1,164,620

25. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი

შპს მედიონ ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

26. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საერთო კონტროლ ქვეშ	მეკავშირე საწარმო	სულ
მიღებული სესხები	138,061	-	138,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32,864	1,733	34,597
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	678,586	7,726	686,312

სრული შემოსავლების ანგარიშგება	საერთო კონტროლ ქვეშ	მეკავშირე საწარმო	სულ
ამონაგები სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან	8,220	-	8,220
საიჯარო შემოსავალი	-	-	-
საიჯარო ხარჯი	754,060	-	754,060
სამედიცინო მომსახურების შესყიდვის ხარჯი	434,952	17,144	452,096
ფინანსური ხარჯი	21,405	-	21,405

27. ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 21 სექტემბერს მენეჯმენტის მიერ. საწარმოს მესაკუთრეებს ან სხვებს არ აქვთ უფლებამოსილება, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანონ დამატებები და ცვლილებები მისი გამოცემის შემდეგ.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიას არ შეუჩერებია საქმიანობა კოვიდ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გამო.